


საქართველო



საქართველოს, სამეცნიერო და სალიბერალურ ნახაბობიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს
№ 43 ოქტომბერი 24 1899 წ. № 43

დ. ი. ყიფიანის ძეგლი მთავრდება.




დიმიტრი უიფიანს.

როცა ზეენი ბუდ იღბალი
გუფს მიწუსებს და მიწუფებს სუფს;
ეჭვით გუმზერ მომკუფსა
და ვიგონებ შუერთ წანსუფს;

მამინ თვალწინ მესატება
სასე შენი, მადლიანი;
შენგან სიმხნით განუფილი გზა,
სანსიფათო, ეკლანი,

და ვიძახი: „იგი ერი
ან მომკუფდა, ანც მიჭკუფდება,
ვისაც შუილი ამისთანა
ჭუოლია და ეუოლებს!...“

მაშ, რა ღმერთო, ნუ მოგვკუფებს,
დიმიტრისებ გმარს დიდებუფს,
გონება სრუფს, ზნე მალას
და ქვეყნისთვის თვადებუფს!...



ოცნება და სინამდვილე.

X I

მ ე ვ ა ხ შ ე ლ ბ ა .

ღიდი ხანია ჩვენ მწერლობაში მეფახშეობას უჩივიან. იშვიათათ აიღებთ გაზეთის რომელიმე ნომერს, რომელშიაც სოფლიდან კორესპონდენტები, რომ ერთფეროვანი წყუწუნი არ მოგესმათ: მეფახშეობა სულს გვართმევს, სოფელს აღარბობს, გლეხს უკანასკნელ საზრდოს ართმევს და გალატაკებულს ქალაქისაკენ გამგზავრებს ხოლმეო. ასე ჩივიან სოფელში მცხოვრებნი კორესპონდენტები და მათ ბანს აძლევენ ქალაქში თავის სამუშაო ოთახში ღრმად ჩაფიქრებული ჩვენი პუბლიცისტები; ესენი საშუალებას ეძებენ, რომლითაც უნდა მოიხსიან ეს არა სასურველი მოვლენა, თხზავენ სხვა და სხვა პროექტებს, მხოლოდ ამათ ბკობის დროს მეფახშეობა ისევ ისე მძვინვარებს, კიდევ უფრო ფეხს იკიდებს და ამნაირათ პროექტებიც ოცნებათ რჩება, და სინამდვილე კი სულ სხვას გვასწავლის.

აი სწორეთ ეს სინამდვილე ჯერ კიდევ მე 40-ე წლებში შეიგნო და ამცნო ქვეყანას გერმანეთის ერთმა მეცნიერმა, რომლის სიტყვა და საქმე ხშირათ შიშსაც ჰგვრის ჩვენ მოსვენებებს მოყვარულ მწერლებს; მან ნათლათ გამოარკვია ისტორიული ფაქტების შემოწმებით მიზეზი და შედეგი მეფახშეობისა, მისი წარსული, აწმყო და მოსალოდნელი მომავალი. ჩვენც ამ აზრს წავიძღვარებთ ამ მოვლენის გამოსარკვევათ და რაც შეიძლება მოკლეთ და მარტივათ გამოვიკვლევთ მის მნიშვნელობას საზოგადოთ. მას შემდეგ რა რომ ჩვენ ცხოვრებაში ძველი ფორმა მეურნეობისა ფულის მეურნეობამ შეცვალა, რა რომ საგნების ერთი ნაწილი საქონლათ გადაიქცა ე. ი. ბაზარში გასაყიდათ გამოიტანეს და ფულზე ცვლა დაიწყეს, მეფახშეობაც დაიწყო. იქ სადაც ფულის მოთხოვნილება ჩნდება ხოლმე, ყოველთვის მის დასაკმაყოფილებელი ელემენტიც იჩენს თავს. ახალი ცხოვრების მრავალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ თეად-აზნაურობამ ფულის ძებნა დაიწყო; მას მარტო ქამა-სმა, უბრალო ჩაცმა და ხურვა აღარ ჰყოფნიდა, ის თავის „დიდებული“ ღირსების დასაცველათ დიდებულ ცხოვრებს ესწრაფოდა, ქალაქში სხვა და სხვა გვარ დროს გატარებას, მდიდრულათ ჩაცმა-დახურვას და სხე. ამისათვის ფული იყო საჭირო. მამულის შემოსავალი მას არ ეყოფოდა, ბანკებში საკუთარი თანაა არ ჰქონდა, რომ საჭიროების დროს გამოეტანა და ეფლანგა,

მაშ რამე სხვა გზით უნდა მოეპოვებია სიმდიდრე. მის წინ დაუყონებლივ გაჩნდა მეფახშე, მდებლათ თავი დაუკრა და მოახსენა: კნიაზ, ფული გნებაეს, მე მოგართმევ, მხოლოდ რადგან ესლა სახიფათო ღროები დადგა, უნდა სამაგიეროთ რამე ხელმოსაჭიდებელი ჩამაბარო, აი თუნდაც თქვენი მამული. თავადს ძალიან უკვირდა რომ ძველებურათ მის უღვაშის ღერს აღარ ენდობოდენ, მაგრამ რა გაეწყობოდა, უნდა დათანხმებოდა ყოველგვარ პირობას, რადგან ზამთარი მოახლოებულყო და ოჯახობით ქალაქში საცხოვრებლათ უნდა გადაბარებულყო. ამნაირათ მეფახშე მამულს იგირაეებს და სამაგიეროთ საჭირო თანხას აძლევს. მაგრამ მეფახშეს მარტო თავადებთან როდი აქვს საქმე, გლეხებიც არ აძლევენ მოსვენებას: არიქა ნათლია, ფული გვჭირია და დაგვეხმარეო. წერილი მწარმოებელი, რომელსაც საწარმოეო იარაღი ჯერ კიდევ არ დაჰკარგია შეუბრალებელი კინკურნციის წყალობით, მასალის შესაძენათ ფულს დაეძებს, უნდა საქანელი დაიმუშაოს, ბაზარში გაიტანოს და ერთი ორი გროში აილოს; დღიური შრომით წელში გამწყადარი გლეხი, რომელსაც მისი ნაოფლარი არ ჰყოფნის, თე-სი კუჭის მოთხოვნილებას ვარდა, რომ ყოველგვარი ხარკი და საზოგადო ზნე ჩეულებით გამოწვეული ხარჯები დაჰფაროს, მეფახშეს მიმართავს. ესეც ძალიან გულმოდგინეთ ადვენებს თვალყურს სად, ვის რა ეჭარება და ყველას ხელს უწყობს, მხოლოდ ისე კი რომ თავის თავიც უზრუნველ ჰყოს ანუ უკეთ რომ ეთქვათ მოსაგები რამ დარჩეს. ყველაფერ პირობაზე ეთანხმებიან გარემოებით შევიწროებულნი და ჩვენი „ნათლია“ დღით დღე მატებს თავის თანხას, მამულებს იძენს და პატარა „თავადი“ ხდება, რასაკვირველია ახალი დროს შესაფერი. რასაც სხვები კარგვენ გაჭირების გამო, ის იძენს როგორც გასესხებული თანხის პატრონი. ერთი მხრით თუ თავადი, წერილი მწარმოებელი ანუ გლეხი ღარიბდება, მეორე მხრით მეფახშე მდიდრდება, მის ხელში ფული გროვდება და ამნაირათ კაპიტალი თანდათან შენდება. რასაკვირველია, თუ გლეხს დასამუშაებელი არა აბადია რა, მწარმოებელს საწარმოეო იარაღი, რათა საკუთრათ დაიწყოს წარმოება, მაშინ მას სასესხებლათ ფული არ ეჭირება და რომ ეჭირებოდეს კიდევ არაინ ასესხებს. თუ ისესხებს ხოლმე თავის გამოსაკვებათ, ესეც სხვის თეადებობით, სხვისი ნდობით, მაგრამ ეს კერძო ფაქტია და მას საზოგადო ხასიათი არა აქვს. ამიტომ მეფახშეობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც მცხოვრებლებს რამე გაჩნიათ, გლეხს შეუძლია ნასესხები ფულით საწარმოეო მასალა შეიძი-

ნოს და მით საქონელი გააკეთოს. როდესაც მსხვილი წარმოება ვითარდება და მით წერილი მწარმოებლები უკანასკნელ საკუთრებასაც ჰკარგვენ, იქ მევახშეობა ისპობა და მევახშის კა. იტალის ადვილს უფრო დიდი უფრო ძლიერი სამრეწველო კაპიტალი იჭერს. ამისათვის მევახშე ყოველთვის კონსერვატორია, მას არ უნდა, რომ არსებული ეკონომიური ურთიერთობა შეიცვალოს, მისთვის იქ უფრო კარგა ასპარეზია, სადაც მხოლოდ წერილი წარმოებაა ფეხ-მოკიდებული, საქონელი ცოტა და წერილ-წერილათ მზადდება, სადაც მსხვილ წარმოებას არ შეუდგამს ჯერ ფენი და ეს მევახშესთვის სატრფილო განწყობილება არ დაუშლია. აი აქ სრულიად თავისუფლათ დათარგმობს მევახშე, აქ ის პატარა მეფეა და მის სამფლობელოს ვერაერ დაიხსნის მისი ძლიერი კლანჭებიდან, სანამ უფრო ძლიერი მეტოქე არ გაუჩნდება, სანამ მრეწველობა ფეხს არ მოკიდებს და მას იქიდან არ განაძეგებს. „ჩვენებური“ პროექტები სულ ოცნებაა, სინამდვილეა ამის მოწამე. მაგრამ ის დრო, როდესაც მევახშეობა არის უმთავრესი ფორმა ეკონომიური ცხოვრებისა, ფრიად სამწუხაროა ორნაირათ: ერთი რომ ის აუძლურებს მწარმოებელთა ძალას, მის მაგიერ რომ განავითაროს იგი და მეორე, პირით უხშობს მცხოვრებლებს ყოველ გვარ გამაღვიძებელ აზრს, მისწრაფებას, სინამდვილეს ბნელით მოსაგეს და მით ამ საოცარ მდგომარეობას ამტკიცებს. მხოლოდ მევახშეობა აუცილებელი წინამორბედი კაპიტალისტური წარმოებისა, რადგან იგი არღვევს წოდებრივ სიდიადეს, სპობს ფეოდალურ საკუთრებას, ძირს უთხრის გლეხის მკურნეობას და მით ნიადგეს უმზადებს, პირობებს ჰქმნის მსხვილი წარმოების გასავითარებლათ.

ერთი უმთავრესი პირობა: უმიწაწყლო, ბოგანო ხალხი მზათ ხედება მომავალ „ბატონს“, რომელსაც თავის ხელებს უწვდის ღ ეუბნება: წამიყვანე. მაშუშავე და საზრდო მომეცი, თორემ შიმშილით ლამის სული დაელიო. ისიც ამას დაეძებს და მედიდურათ მიუძღვება წინ ქარხნის კარებისაკენ. მეორეც ისაა, რომ იგი თავს უყრის ერთათ ფულს, აგროვებს კაპიტალს ე. ი. საჭირო იარაღს ქმნის წარმოების დასაწყებათ. ამნაირათ მევახშე თუმცა აზრით და გრძნობით კონსერვატორია, მაგრამ თავისი მოქმედებით იგი ნამდვილი რევოლიუციონერია, ძველ წყობილებას ძირს უთხრის და ამ ნანგრევზე ახალს აშენებს. წერილი მწარმოებელის გაღარიბება მრავალ შემთხვევაზე, დამოკიდებული და ყველა ამ შემთხვევით სარგებლობს: მეთვალყურე, მევახშე და დაუკონებლივ უწყებს წუწუნას. ეტქვათ გლეხს ხარი მოუკვდა, რის შემდეგ იგი იძულებულია მიწის მუ-

შაობას თავი დაანებოს, სანამ სამაგიეროს არ იძულებულია იქნეს, აქ ის მევახშეს ხელში ვარდება, ვალს იღებს, თავის მიწა-წყალს უგირაევებს, რომლისაგან მევახშე ვალის გარდახდამდრ სარგებელს ლებულობს; მხოლოდ რადგან ვალის გადახდის სალსარი გლეხს არა აქვს, ამიტომ „ნათლია“ დიდხანს სარგებლობს გლეხის ქონებით და რადგან შემცირებული შემოსავალი ისედაც ხელ მოკლე გლეხს სულ აღარ ჰყოფნის თავის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ, იგი თანდათან უფრო და უფრო ვალიანდება და ვერას გზით ვეღარ აღწევს თავს მევახშეს მძლავრ კლანჭებს ღ გლეხის ქონება ბოლოს სულ მას მიაქვს. მაგრამ საუკეთესო მომენტი მევახშისათვის ის არის, როცა გლეხს ხარკის გადახდის დრო მოუწევს. მას არსადან სალსარი არა აქვს ეს ვალი მოიცილოს, თუ არ ისევე ვალის აღებით და ამიტომ მისი წყარო იმავე მევახშის თანხაა. გლეხი თუ მევახშეს მიმართავს — ეს იმტომ რომ გარემოება აიძულებს, სხვა მოსალოინერებელი საშუალება მას არ ეგულება. თითონაც კარგათ იცის, თუ რა ძნელია „ნათლიას“ ხელში ჩაეარდნა, მეზობლის მაგალითი თანდათან აცნობს მის ხსიათს, ზნე-ჩვეულებას, მაგრამ რა ჰქნას, როდესაც ეკონომიური სიეწროვე, იქით გააქანებს, აქეთ გამოაქანებს და ისევე მევახშეს კარებზე მიადგებს. ეს მის უნებურათ ხდება, ის მხოლოდ ასრულებს იმას, რასაც გარემოება უბრძანებს. ეს მისი ყურ-მოჭრილი ყმა და რამდენიც უნდა ვუქაღოთ გლეხს: მევახშესთან ნუ მიდინარ, იგი გლუბავს, ყველაფერს წაგართმევს, არაფრით გზოგავს და სხვა — იგი ამ თანაგრძნობის სიტყვებს ხშირათ მევახშის ვერცხლზე ცვლის, ისევე იმას უბრუნდება, რადგან მის გარეთ არავითარი ღონე აღარ აქვს, რომ საქირება დაიკმაყოფილოს. შეცვალეთ ეკონომიური პირობები, მიეცით წერილ მწარმოებელს სხვისგან დამოუკიდებელი ცხოვრების სალსარი, ჩააყენეთ იმის თანა პირობებში, რომ არც შიოდეს, არც წყუროდეს, ჩაცმა-დახურვის შეძლება ჰქონდეს, ზნე-ჩვეულებით შეძენილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეეძლო, ხარკის და სხვა ხარჯების გადახდა თავისი შეძლებით მოახერხოს და მაშინ მევახშე უნდა გაიპაროს, მას ასპარეზი აღარ ექნება, მას ყველა ხელს ჰკრავს, განაძეგებს. მაგრამ შესაძლებელია ეს? როგორ გინდათ შეცვალათ ამნაირი ეკონომიური ურთიერთობა, რანაირათ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს გლეხობა, როდესაც გაათკეცებულ საჭიროებასთან ერთათ ზევიდან მებატონე კდევე უფრო მძიმეთ აწევება თავზე და თავის დასახსნელათ იძულებულია ისევე „ნათლიას“, გაუწვდინოს ხელი. რა უნდა მისცეთ ამის ნაცვლათ? ცარიელი სიტყვა მას არ ეყოფა: მან

ფული უნდა გადაუხადოს ბატონს, ხელმწიფეს, ოჯახის საჭიროება ფულით უნდა დაიკმაყოფილოს, ამისთვის მან უთუოთ მეფახშეს უნდა მიმართოს, დაეაღიანდეს დროებით და ბოლოს სრულიად უმიწა წყლოთ, წარამარა მოხეტიალეთ გახდეს. ამ პროცესის საზოგადო ხასიათი ყოველგან ერთნაირი იყო და არის. ძველ საბერძნეთში და რომში, საშუალო საუკუნოებში ევროპის ყოველ მხარეში და დღეს ჩვენში მეფახშეობა სულს უხუთავს სოფელს, აღარბებს მცხოვრებლებს, ნელ ნელა არღვევს ძველ წყობილებას, ზნე-ჩვეულებას და მის ნაცვლათ ახალი შეაქვს, ამ ახალს ავითარებს და სადაც სხვა ისტორიული პირობებიც ხელს უწყობს მსხვილი წარმოების წინამორბედი ხდება. ჩვენში ამ პირობების არსებობა ექვს გარეშეა. სამთო, სამადნო მსხვილ წარმოებამ, ნავთის და სხვა მრავალი ბუნების სიმდიდრის კაპიტალისტური წესრიგით დამუშავებამ, უკვე მხათ იპოვა უმთავრესი პირობა თავისი დარგის გასავითარებლათ. მშრომელი ელემენტი წაროების იარაღს გამოარებული თავის ფიზიკურ ძალას უხვათ აწვდის ამ ახალ საქმეებს და სხვა თანამედროვე ერების „ფეხშიშველ რაზმთ“ ბლომათ ემატება. ამნაირათ მეფახშეობა შეცვლილი ეკონომიური ურთიერთობის თანდაყოლილი ქარია, ფულის მეურნეობის ღვაძლი შეიღი, მაშასადამე მისი მოვლინება ჩვენ ცხოვრებაში აუცილებელი იყო, მისი აღგვა არავითარ საშუალებას არ შეუძლია, იმავე პირობებში, მხოლოთ იგი ნიადაგს უმზადებდა და უმზადებს კაპიტალისტურ წარპოებას, თვით ამ მოვლენის მსხვერპლი შეიქნება და მით თავის ისტორიულ მისსიას შეასრულებს. ჩვენ ევთანხმებით იმ აზრს, რომ შეიძლება მისი სასტიკი მოქმედების შემსუბუქება, შეიძლება წერილ მწარმოებელს გაეუადვილოთ გადასვლა ერთი პირობიდან მეორეში, მაგრამ მისი სრულიად მოსპობა და იმისაგან ეკონომიური ცხოვრების გათავისუფლება ჩვენ ღონეს აღემატება, ეს ცალიერი ოცნებაა, სინამდვილე კი სხვა სურათს გვიჩვენებს და, თუ გვინდა თანამედროვე ცხოვრებაში რაიმე წვლილი შევიტანოთ, მას უნდა ჩაეუკერდეთ და შესაფერი სიტყვა და საქმე არ დაეიშუროთ.

აღ. წულუკიძე.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ონგლისელთა ღენერალი უაიტი იუწყება, რომ ბურებისაგან ტყვეთ წაყვანილი კოლონა 42 ოფიცრისა და 2,000 ჯარის კაცისგან შედგებოდა; და თან დასძენს: „მართო მე ვარ მხოლოთ ამაში პასუ-

ხის მგებელი; პოზიცია იმგვარი იყო, რომ გამაგრება შეუძლებელი გახდა“.

ლონდონის გაზეთები თუმცა კი არა ფარავენ უაიტის დამარცხებას, მაგრამ კრიტიკულათ მანც არ ეხებთან ღენერლის ტაქტიკას და იწვევენ ხალხს, რათა მან დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია უბედურების გაქცაყურთ ატანა.

გაზეთი „Каспи“ ში შემდეგ საზიზლარ ამბავს ეკითხულოთ: ქ. ბაქოში მენხანიკურ სახელოსნოს პატრონ ცატუროეთან მოვიდა ერთი მუშათაკანი, წარუდგინა ანგარიში და თხოვა გასწორებოდა. ჩასუქებულმა ბურკუამ ანგარიშის გასწორების მაგიერათ გამოსტაცა ხელიდან მუშას ქალაღდი, გაბრაზებულმა ნაკუწებათ აქცია და გოაცებულ მუშას შემდეგი წინადადებით მიმართათ: „წადი მიჩილე, მხოლოთ არ დაგაიწყდეს რომ დასამტკიცებელი საბუთი არაფერი გაქვსო“. იმავე ქალაქში, იმავე გაზეთის სტყუით, ევზიროერს „პრომისლაში“ ცხოვრობს ვიღაც მამედხანოვი, რომელმაც თავის უფროსის ჯიბის გასასქელებლათ გაისტუმრა იმ სოფელს მუშა ალექსიანოვი. აი საქმე როგორ ყოფილა: გადასატანი ყოფილა 10 ფუთი რკინა; რადგან მუშის დაქირავებაში ფული გავიღოდა, მამედხანოვს უბრძანებია თავის მუშისთვის რკინის წაღება. მუშა უარის თქმას როგორ გაბედავდა, მაშინ ხომ ადგილს დაჰკარგავდა და ულოყმა პუროთ დარჩებოდა და აი, ამ სიმძიმის გადატანის დროს, მუშა წაქცეულა, დაუკრავს საფეთქელი რკინისთვის და იქვე სული დაუღრეია. რაღა თქმა უნდა ნოქარი ამ შემთხვევას „ბედის წერათ“ ხსნის, მაგრამ ასეა კი ეს? მიუხედავათ იმისა რომ მუშას 18—20 საათი სისხლს წუწნიან, მიუხედავათ იმისა, რომ ის ყოველ საათს მოვლის მანქანისაგან დასახიჩრებას, მას სამუშაოს ფასსაც ართმევენ, ანგარიშს უწევენ და დაცინეთ სამჯავროზე უთითებენ; ფულის ინტერესით დაბრმავებულნი დაღალულ — დაქანცულ მუშას ვირივით საპალნეს ჰკიდებენ და წარმოუდგენელ სიმძიმის ქვეშ უსწრაფვენ ისედაც მრავალ ტანჯულ სიცოცხლეს.

17 ამ თვეს მოხდა წლიური კრება ქართული დრამატიული საზოგადოების წევრთა. კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში. თ. გოლიცინის შემწევობის შესახებ კრებამ ერთხმათ დაადგინათ: 1) შედგეს კომისია უგან. თ. მ. ა. გრუზინსკისა, ვ. ა. სულხანაშვილისა და ვ. ა. აბაშიძისაგან და დაევალოთ მათ მადლობა მოახსენონ თ. გოლიცინს ასეთი უხვი შემოწირულებისათვის. 2) ნება თხოვონ. თ.

გოლიცინს იკისროს საპატოი წვერობა დრამატიულ კომიტეტისა და 3) დაარსებულ იქნას თ. გოლიცინის სახელით ყოველ წლიური პრემია დასასაჩუქრებლათ საუკეთესო პიესების ეტორებისა. კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილისა საპატოი წვერათ იქნა არჩეული. სარევიზიო კომისიის წევრებათ ისევ ძველები დარჩენ ერთის გარდა, რომლის მაგიერათ არჩეულ იქნა ს. ზ. მაგლობლიშვილი.

თუ სადმე ბავშთა შრომას მფარველობა ესაჭიროება, ჩვენ ქალაქს შეიძლება ეს ყველაზე უფრო ესაჭიროებოდეს. ვისაც აჭაურ სხვა-და-სხვა საეაჭრო და სამრეწველო დაწესებულებაში, ქარხნებში, ღუქნებში, სტამბებში და სხ. ბავშების შრომისათვის თვალ-ყური უდევნებია, ის გაზვიადებულათ არ მიიჩნევს ამ აზრს. ამ ხელათ მაგალითათ შეგვიძლია დავასახელოთ ერთი სარძეო ღუქანი, რომელიც თფილისში ყველაზე უფრო ცნობილია, და რომელმაც გვაიძულა ამ სტრიქონების დაწერა. ხსენებულ სარძეოში, რომელიც სამ ოთახს შეიცავს და ხშირათ გაესებულია ხალხით, თითქმის მხოლოდ ორი, ხშირათ კი მარტო ერთი, 12—13-ოდე წლის ბავში ემსახურება ყველას დილის 6 საათიდან მოკლებული ნაშუალამევის 1—2 საათამდე, ასე რომ მთელი დღე და ღამის განმავლობაში 4—5 საათს გარდა, ეს ბავშები თითქმის განუწყვეტლივ ციბრუტივით ტრიალეზენ და მოქანცულ სახეზე ჭირის ოფლი გადასდიოთ. მათი მდგომარეობა მით უფრო აუტანელია, რომ გამუდმებულ უაზრო ტრიალ-ბზრიალით გონება დაფანტულნი მუშტრებს ხეირიანათ ველარ ემსახურებიან და ამის გამო ეს უკანასკნელნი მრისხანე წყრომა-მუქარით საცოდავ ბაღლებს ძალიან ხშირათ გულს უხვთქენ. სულ მთელ დღე და ღამეში ბავშებს დასაძინებლათ (რასაკერველია მხოლოდ დასაძინებლათ და არა სათამაშოთ!) მიცემული აქეთ 4—5¹/₂ საათი (ნახევარი საათი დღისით შეუძლიათ დაიძინონ, მაგრამ ნახევარ საათს ხომ ვერც-კი მოასწრებენ დაძინებას), და ასე ცოტა ძინავთ 12—13-ოდე წლის ბავშებს, რომელთათვისაც სულ მცირე 9 საათის ძილია აუცარებლათ საჭირო. ამასთან მათთვის არ არსებობს დასვენება არც კვირაუქმე დღეებში, პირ-აქით ასეთ დღებში მეტსაც მუშაობენ და ასე იტანჯებიან ყოველ დღე და ღამ არა მარტო ხსენებული ბავშები, არამედ მრავალი სხვა მათსავით „უდანაშაულოთ დასჯილი“ პაწია არსებანი ჩვენ ქალაქში. ნუ თუ საჭირო არ არის ყურადღება მიექცეს, ვისკანაც ჯერ არს, ასეთ საზიზღარ ექსპლოატაციას. („ივერია“)

„აკვალის“ კორესპონდენციები.

ქ. ქუთაისი. ჩვენ ქალაქს თითქო მოქმედობის დრო დაუდგა. ერთი მხრივ მთავრობისგან გამოგზავნილი რევიზორი განაგრძობს თავის საქმეს, რაც სხვა და სხვა „ტრატებს“ ძილს უფრთხობს, ხოლო მათ მოპირდაპირეთ იმედებს აძლევს! მეორე საქმე კი სიზიფის შრომას გვაგონებს. ესაა წყლის გამოყვანა. დაიწყებენ, გადაწყვეტენ ერთს, ვერ აასრულებენ, გააუქმებენ და კიდევ მეორე სხვანაირ გადაწყვეტილებას მიიღებენ. დიდხანია ქუთაისი ამ საქმეზე ფიქრობს, მარა ფიქრთან საჭიროა მოქალაქეობრივი მხნეობაც. თავდაპირველათ კითხვა პრინციპიალურათ დააყენეს: გამოვიყვანოთ წყალი ჩვენივე საშუალებით თუ სხვას მივცეთო? ბევრ ბჭობასა და ყაყანს შემდეგ გადაწყვეტეს ოჯახური წესით გავაკეთოთო. მარა მერე აღარ მ.ა.წონათ და გადაწყვეტეს სხვას მივცეთო. ეს მათი გადაწყვეტილება არ შეიწყნარა საქალაქო კრებულმა და საქმე უკან დააბრუნა. ხელ ახლა გარჩევის დროს გამოითქვა სამნაირი აზრი, ზოგი ამბობს — ოჯახური წესით გავაკეთოთ და ამისათვის ვითხოვოთ, რომ ხაზინიდან მოგვეცეს სესხათ უპროცენტოთ საჭირო თანხაო, ზოგიც — ობლიგაციური წესით გავაკეთოთო. რამოდენიმე კონცესიასაც არჩევდენ. რომელი წესია ქალაქის ინტერესებისათვის უფრო ახლო? ეს ჩვენთვის ცხადი იქნება, თუ ცოტადნათ დავუკვირდებით ქალაქის ოჯახურ საქმეებს. ქუთაისის უმთავრესი შემოსავალი დღეს დაუასებითი გადასახალია, რომელიც გაწერილია ქალაქის მამულებზე. ამ მამულების წმინდა შემოსავლიდან ქალაქს მიაქვს 90%. მცხოვრებთათვის ეს ძრიელ მაღალი გადასახალია, თუ ამასთან გაიხსენებთ რომ მამულს კიდევ სახელმწიფო გადასახალიც აწევს. მიუხედავათ ამისა მამულის ხარკი წლობით 30000 მანეთამდე ვერ აღწევს. მეორე შემოსავალი ქალაქისა არის ხიდის ბაჟი. ეს გადასახალი უნდა იყოს დროებითი, ესე რგი იმ დრომდის უნდა იკრიბებოდეს, სანამ შემოსავალი არ დაფარავს გაკთვებაზე გაღებულ ფულს. მარა სიღარიბეს იქაც ჩაუჭერია კბილები და შემოსავლის წყაროთ გადაუქცევია. საზოგადოთ ქალაქს ჩვეულებრივი შემოსავალი მეტათ მცირე აქვს, ასე რომ ვერ დაუფარავს სავალდებულო მიმდინარე ხარჯებიც. დღეს თუ თვითმართველობას რამე მამული ჰქონდა, სულ დაგირაგებული აქვს, ყოველწლიური დეფიციტი ვალს პროგრესულათ ზრდს შემოსავლის მაზრდობებელი წყარო კი თუ კლებულობს, თვარა არა მატულობს. რა გამოიყვანს ქალაქს ასეთ უწყვეტო მდგომარეობისაგან? ამისთვის მხოლოდ ერთათ ერთი გზაა: სა-



ჭირია რომ ქალაქი თითონ გახდეს მეპატრონე სხვა და სხვა მცხოვრებთათვის სასარგებლო და მისთვის მოსაგებიანი საქმეებისა. ეს იმისთვისაცაა საჭირო, რომ ქალაქის თვითმართველობა ყოველთვის ეცდებოდა თავის მოძმეები არ გაყვლიფოს, რე შეუმსუბუქოს მათ უსაჭიროესი მოთხოვნები და დაეკარგოს, ასეთი მოსაგებიანი საქმეა წყლის გამოყვანა. გამოანგარიშებულია, რომ ყოველ ექვს გარეშე წმინდა შემოსავალი წლობით იქნება სულ მცირედი რომ ვინანგარიშით ხუთი ათასი მანეთი. ეს დღესაც ასე, მარა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქალაქი მუდამ ზრდაშია, თუ ახალ მცხოვრებლებს შემომატებით, თუ თავისი ბუნებრივი გამრავლებით. ნაშ შემოსავალიც თანდათან იმატებს. ნუ თუ ქალაქმა ასეთ საქმეს უნდა დაანებოს თავი? მით უმეტეს, რომ წარმოსადგენია ხაზინისაგან უპროცენტო სესხი. სწორეთ ასეთ მოსაზრებას ემხრობა აქ საბჭოს უფრო სიმპატიუში ელემენტები. ისინი ამბობენ: ჩვენ ვალდებული ვართ, რომ ეს საქმე ქალაქს ხელიდან არ გაუსვლტესო, ერთ ჩვენ იქედის აზრს ოთხმოც და ცხრამეტი უიმედობის მოსაზრება რომ წინააღმდეგს, მაინც ვალდებული ვართ ვეცადოთ, რომ ქალაქს გაუჩინოთ შემოსავლიანი წყაროეო. ჩვენ სად ვუცადოთ მთავრობის სესხს, ჩვენ დღესვე გვინდა წყალიო, გაიძახის მეორე ნაწილი. დახე მათ გამჭირაობას! ასეთ მძიმე საქმეში, როცა შესაძლოა ქალაქი მებარკეთ ჩაუტდონ ხელში ვიღაც გადამთიელ ბურჟუას მთელი საუკუნის, ცოტაოდენი ლოდინიც აღარ უნდათ. რასაკვირველია სულმოკლეთა და უსუსურთა რიცხვი ჩვენში ყოველთვის მეტია და ამიტომ საქმეც მათთვის სასურველათ გადაწყდა. წყლის გამოყვანა კონკრეტულით გაიცესო.

მარა ყველა ამ კამათში ფაქტიური მოსაზრებანი კი არაა ისე საყურადღებო, რადგან ფაქტები არაიხსნის არ იცის კარგათ, არაიხსნის არა აქვს შესწავლილი. აქ უფრო საყურადღებოა ზნეობრივი, მოქალაქებრივი მხარე, ის თავის თავის დამცობა, ის უიმედობა, რომელიც წელ-მოწყვეტილ წიწილასავით აწრინინებს ჩვენ ბურჟებს. ჩვენ საქმე არ მოგვენდობა, გაჰკივის ერთი კუთხიდან. რატომ? ჩვენ ვართ პირადი ინტერესების მიმდევარი, ჩვენ არ გვესმის საზოგადო ინტერესი, არც თავმოყვარეობა გვაქვსო გამოდის, ქურდები და ფლიდები ვართო. მეორე უფრო ბრძნულათ შეწინააღმდეგებს: თქვე ოჯახ აშენებულეობო, რატომ დაგაფიწყდათ, რომ დღეს მესამოცე წლები არაა? მაშინ „იდეალისტები“ იყვენ, თავის თავი აწავის ახსოვდა, დღეს კი გაჩნდნ სხვა და სხვა მატერიალისტები და დასისტებიო, რომელნიც მხოლოთ თავის ქებაზე ფიქრობენო. გესმით?

მე არ შეგეხები აქ იმ უმეცარ წარმოდგენას, თითქო მესამოცე წლებში პირადი ინტერესები ჩამქრალი იყვენ და მხოლოთ დღეს წამოჰყვეს თავი. ურეტესობას მაშინაც დიდი კუჭი ჰქონდა და ვგონებ ამ უმეტესობის რიცხვში დღევანდელ იდეალის მქალაქებელიც ბრძანდებოდა. აქ ეს კითხვა კი არაა საინტერესო, აქ ისაა საყურადღებო, რომ განათლებული კაცი ვერ ამალმებულა იქამდის, რომ ცოტაოდენი პატივი სცეს მთელ იდეურ ჯგუფს, მთელ მიმართულებას და ცხოველებს ბრბოთ არ დასახოს. ჩვენ ეს სრულიად არ გვიკვირს. ჩვენ კარგათ გვახსოვს ამ რამდენიმე წლის წინეთ იმავე ვაჭბატონმა რა დამცობებით შეხედა ეროვნულ ინტერესს, როცა ერთ საზოგადოებაში ბაასი იყო ქართულ ვაჭბატონზე, მან ბრძანა: ჩვენთვის, ნასწავლი ხალხისათვის, რა საჭიროა სამშობლო ენაზე რომ იყოს ვაჭბათიო: ეს საჭიროა უმეცარი ხალხისათვის, რომელმაც მართო ქართული ანაბანა იცისო. ამაზე ურესი ჩაწინებულა ერის წარსულისა, მისი მომავლისა განა იქნება? ჩვენ ასეთი კაცისაგან ერთი წიხლის კი არა, ორ ვეს გამოქანება არ ვაგვეკვირვებს. ჩვენ მხოლოთ ის ვაგვიკვირვებს, რომ საბჭო, ქალაქს რჩეულთა კრებელი ასე თავისუფლათ აქელებებს ვისმეს მთელ მიმართულებას. სხვა რომ არა ყოფილიყო, უმეცრება მაინც ეჩვენებიათ ორატორისათვის. ეთქვათ რომ მატერიალისტობა და „კუჭბატონბა“ ერთი და იგივე არ არის. მარა რას იზამთ, ჩვენში ასეთი ჩვეულებაა. სხვას იგიწყებენ, თვითნებობას მისდევენ. აი ერთი თვითნებობის მაგალითი: ქალაქის კანცელარიაში დადებულია, თუ რამე საქმის პირი გამოგაქვს, ათი შაური უნდა გადაიხადო. რა დანიშნულებით? კანცელარისის სკანდინავიათათვის, ესე იგი ამ ფულით იყიდიან წერისათვის საჭირო კუთვნილებას, რაც ამ დანიშნულებას გადაჩედა, უნდა დაურიგდეთ მწერლებს საჩუქრათ. მერე? მერე და ეს ასე არაა. ეს ფული ათას სხვა რამეზე იხარჯება და ღმერთმაც უწყის, საით მიმდინარეობს. მწერლები კი ხახა მშრალნი არიან, აი ესაა თვითნებობა. მარა რას იზამ? ასეთი თვითნებობა ჩვენში ხშირია და შემდეგისათვისაც ორიოდ მაგალითს წარმოგიდგენთ.

X.

ს. წრომი (გორის მაზრა). ჩვენი სოფელიც მის დის წინ დინჯათ, აუჩქარებლათ, მაგრამ უტყუარი ნაბიჯით კი. წრომი შეიცავს სამოციოდე ოჯახს; ის შეძლებულ სოფლათ ითვლება; მიწა ნაყოფიერი და მოსავლიანია და საკმაოც არი. ხენათვისის გარდა არაუფერს ეწევიან. მევენახეობას ჯერ არ მოუკიდნათ ფეხი; ეს იმით აიხსნება, რომ მიწა აქნობამდე სულ

საბატონო იყო და საბატონოზე ვენახის გაშენება გლენისთვის უსარგებლოა. ამ რამ ვენახამე წლის წინეთ ერთმა აზნაურმა ერთ თავის გლენს ორიოდ დღის მიწა მისცა: ვენახი გააშენე და სანახევრო იყავო. გლენმაც სულ ცოტა ხანში მიწას ღობე შემოავლო და ვახსაც ჩაყრიდა, მაგრამ აზნაურს ბატონყურმა მტაცებლობის სულმა წაძლია და ღობე შემოვლებული მიწა უკან წაართვა. ამიტომ გლენი ჯერ მიწის დასაკუთრებას ფიქრობს — ეს ამისთვის ერთი სატრფიალო რამეა. რასაკვირველია ბევრისთვის ეს აუსრულებელი ოცნებაა, მაგრამ სოფლის ერთი ჯგუფი თანდათან წინ მიდის ამ მხრივ. წელიწადი არ გაივლის რომ რამდენიმე გლენმა ცოტა მაინც არ შეიძინოს. წელს ათმა ოჯახმა ერთათ იყიდეს თავად ლევან ციციშვილისკან 700 თუმნის მამული (1-3 დღისა).


მიწათ-მოქმედება ერთათ ერთი წყარო არ არის მოგება გამდიდრებისა. აქვე ახლთა ციციშვილების ტყე. ვისაც საჭირო მუშა ხელი ჰყავს და მეტადრე აუცილებელი — ერთი უღელი მაინც — კამეჩი, იმას გამოაქვს სალობის გადახდით ტყე და ჰყიდის. დიდი ოჯახები სამსამი უღელი კამეჩით მიდიან, მცირე ოჯახები ამხანაგდებთან და ისე გამოაქვთ ტყე. აქედან საბრძნობელი გამოჩინა აქეთ, ზოგს ორმოცსამოცი თუმანიც, ამ წყაროთი რასაკვირველია ყველა ვერ სარგებლობს. უღელი კამეჩი ნახევარს არა ჰყავს და მამასადამე ვერც ისარგებლებს. გადარჩენილ ფულს მკვიდრი გლენი მუშა საქონელის და მამულის ყიდვას ანდობებს, მოვანშეობას კი იშვიათათ იწყებს. მხოლოთ ქალები ავალგებენ მზითეში მოყოლილ ცოტადენ ფულს. მოგების მუდმივ წყაროთ კი მოვანშეობა ვადმოსახლებულ იმერლებს და ოსებს გაუხდიათ. ამათშიაც ბევრია კარგა შეძლებული. მამულს ესენიც სინარულით იყიდდენ, მაგრამ უთუოთ მკვიდრთა შეცილებას ერიდებთან — რასაც ბევრი შფოთის გამოწვევა შეუძლია. სარგებელს ძალიან ბევრს იღებენ. მებატონებისაგან იგირაეებენ მამულს ათი-თხუთმეტი წლით. ვადამდრს თავნზე ორჯელ მეტს ამოიგებენ ღ ვადის მოახლოებაზე ცოტა დაკლებული ფასათ მიჰქიდიან ან თვით პატრონს და ან სხვა ვისმეს. მოვანშეები თავის ძმას, ღარიბ გლენსაც არ აყრიან ხერის. კალოზედვე შეუნახევრებენ წლის სარჩოს, რომლებიც ქერისპურით, მჭადთ და ქატოთი თიბათეემდის ძლივს კვებავენ ოჯახს. მერმე ნამდვილი შამშილობა უდგებათ. მაშინ უთენდებათ აღდგომა მოვანშეებს, რომელთაც ამდღისთვის ბელლები სავსე აქეთ პურით; კოდს მომავალ კალომდის კოდნახევრათ ასესხებენ. ასე იტენება ერთის ჯიბე მაშინ როცა მეორესი ცალიერდება.

ასე გადადის თანდათან ქონებრივი ძალა გლენების ერთი ჯგუფის ხელში, როგორც მებატონისაგან ისე დანარჩენი გლენებისაგან. „კუმინდელი ნაყმევი“, როგორც აქაური კეთილშობილნი გესლიანათ ეძახიან, გაიზარდა ქონებრივათ, გაეზარდა მოთხოვნილებანი, შეიცვალა მისი ბატონთან დამოკიდებულება: წინანდებურათ ის მას ქედს აღარ უხრის. ბატონს კი არა სჯერა ეს ღარც უნდა დაიჯეროს. მის მოგონებაში კიდევ ცოცხალია ის დრო, როცა ის გლენს მეძებრებზე ჰყიდა, უღელში აბამდა, მისი ცოლშვილის და მისი სულის მესაკუთრე იყო. ამიტომ ახლანდელ მის გათანასწორებას ზიზღით და სიძულელით უყურებს. ამ მოგონებებში და გრძნობებში იზრდება კეთილშობილთა ახალი მოდგმაც. შეიარაღებული თავით ფეხამდის, როგორც ლეკანებას შეეფერება, მიდის ახალგაზდა აზნაური დღეობაში, ეს იმის სანატრელი კრწანისი და ასპინძაა. ბრძოლა ძალიან წყურია და მართლაც ისე დღეობა არ გაივლის რომ აზნაურმა ან არავენ მოჰკლას და ან არ დაქრას. გლენი კი ერიდება — მხოლოთ თავისთვის წაილაპარაკებს:

კნიაზ, კნიაზ, დენგი ნიატ.
კალოში ესტ, წალა ნიატ!

შარშან აქაურმა გლენებმა, აზნაურებთან ერთათ ჩვეულებრივი საღმთო გადაიხადეს. გადაკერას შემდეგ, საღმთოს ჩვეულებრივი ჩხუბიც მოჰყვა, აქაც ანიციატივა აზნაურებისა იყო. რამდენიმე აზნაურმა გლენებს სულა გაარტყეს, ერთმა სხვათა შორის იქაზე, რომ გლენმა, მას ბრძანებაზე — დაიხოქე და ისე მიმღერე — უბასუხა: ბატონ-უმობა დიდი ხანია გადაკარდაო ღ არ დაიხოქა... შეიქნასაშინელი აურ-ზაურა, კეტების და ხანჯოების ტრიალი, ბევრ აზნაურს გაუტყდა თავი, ერთი გლენიც მიძივეთ დაიჭრა.. ლეთის წინაშე მას შემდეგ აღარ უკისრიათ აზნაურებს ასეთი ინციტორობა.

მ. დავითაშვილი.



კვირიდან კვირამდე

ბოდიში. — გაცრუებული იმედი. თვალნაკრავი ორატორია. — სსკათა ჭიჩი დაბეს ჩხინი. — უსაქუჩი კომისია — სადაც ძალა შევა, სამართალი განიღებს ავა

ბოდიშს ეხდი „ვეალს“ მკითხველებთან ერთი კვირის სიჩუმის გამო. კი არ გეგონოთ, ვითომ მასალა არა მქონოდეს. ღვერთო ჩემო! მასალა — რამდენიც გნებავთ! უოველ ფეხის ნაზიჯზე თვალში გე-

ჩხირება უსამართლო უკანონობა, სატირალ-საველა-ლო სცენები.

არა, ძვირფასო მკითხველო, გარწმუნებ ეს არ იყო მიზეზი. უნდა გამოგიტყდე, ადვილი როდია ჩემი მოვალეობა: გული სევდით მეცება, და სული მეტანჯვის, როცა კვირიდან კვირამდე ჩვენ უბადრუკ ცხოვრებას თვალს გადავაეღებ ხოლმე; ისიც კმარა, რომ ერთხელ ხდები მოწმე ამდენი უკუღმართობისა, ახლა მოდი და ხელმეორეთ ყველა ეს მწუხარება განიცადე, მენსიერებაში აღ-დგინე, გონებაში გამოიხატე და ქალღმერთად გამოიღე! არა, არა, როგორც გნებავთ, და ეს ძალიან მძიმე მოვალეობაა! ცოდვა გამქლავებული ჯობია — გულის ფანცქალი მაქვს ხოლმე ატეხილი, აი არაეინ ცუდი არა ჩაიღინოს რა, სისულელე არა წამოროშოს რა, მაგრამ არ იქნა და არა! დღე არ გავა, რომ ვინმე რამე სისაძაგლე არ ჩაიღინოს, დიდი სისულელით არ გაგიმასპინძლდეს; მოდი და ხმას ნუ ამოიღებ. მეც დავიკუბებ ხოლმე გულში სანამ შესაძლოა, მაგრამ გული ხომ უძირო ორმო არ არის, აივსება და იძულებული ვარ კლამი ხელში ავიღო და რაც კი რამე მომხდარა, ქვეყანას ვაუწყო. აი თუ გნებავს ჩვენი „შუამავალი“ ავიღოთ.

* *

აგვიკლო, ბატონო, ამოდენა კრებებმა! ვადაშლით თუ არა ქართულ გაზეთს, პირველ გვერდზევე წაიკითხავთ: ამა და ამ დღეს დანიშნულია გაგრძელება „შუამავლის“ კრებისა... ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ. სხვა არა იყოს რა, მარტო ამ განცხადების ხარჯი გააკოტრებდა უდღეურ „შუამავალს“. მერე რითი დაგვირგვინდა ამდენი სჯა-ბაასა? რა მოიხარეს ორატორებმა? რა გამოარკვია აზრთა შეხლა-შეტაკება? რა დასკვნამდის მივიდა ამხანაგობა? ჯერ-ჯერობით თუმცა საბოლოოთ არაფერი გადაწყვეტილა (იმედია კიდევ ბევრჯერ დავესწრებით გაგრძელებულ კრებას), მაგრამ ბილი ახლავ ჩანს: უმეტესობა იმ აზრს ადგას, რომ ამხანაგობის აელა-დიდება ვინმე, კერძო პირს მიეცეს იჯარით. ვაი წარსული იმედებო! გატრუფებული ოცნებებ! ვახსოვს მკითხველო, რა ბუკ-ნაღარის კვრით მივეგებეთ ამ ამხანაგობას? რა თვალ-წარმტაც სურათათ გვეხატებოდა მისი მომავალი? დღეს კი ვიღაც ჩარჩ ვაჭრის ჯიბის გასასქელებელ წყაროთ უნდა ვახდეს! „საქვეყნოთ უნდა გამოვაცხადო, — მითხრა ამას წინეთ „შუამავლის“ გამგეთ ყოფილმა ბ. აღნიაშვილმა, — რომ არც ერთ საზოგადო საქმეში მონაწილეობა არ მივიღო, რა საზოგადო საქმეც არ დავიწყე, ყველა დინხო და უკუღმა დატრიალდო“. დაგარწმუნებთ, ბ. აღნია-

შვილო, რომ თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ. მინ ხედ-მოიხედეთ, დააკვირდით ჩვენ საზოგადო-სამხანაგო საქმეებს. თქვენ იყავით სენაკის სააბრეშუმო საზოგადოების ინიციატორი? თქვენ იყავით წიგნების გამომცემელთა ამხანაგობის მოთავე? თქვენ იყავით... ღმერთო ჩემო, რომელი ერთი გითხრათ? არა! ჩვენი ამხანაგობები სწორეთ მოჯადოებულია, თვალ-ნაკრავია! აი სად იმალება უბედურების მიზეზი.

* *

ასეთივე თვალ-ნაკრავი ყოფილა ერთი ქუთათური ორატორიც. საშინელია თურმე, როცა კუდიანი დედაბერი გაგთვალავს და მოგაჯადოებს: ჭკუა-გონება, აზრი სულ ერთიკრთმანეთში დომხალივით აგერევა. ერთ სხდომაში მოჯადოებულ ორატორს შემდეგი აზრი გამოუთქვამს: ჩვენ ღროში არავითარი საზოგადო საქმის გაკეთება მოსახერხებელი არ არის, რადგან ახლა მესამოცე წლები როდია, როცა იდეალისტები იღწოდნენ და ქვეყანას თავს ანაცვალვებდნენ; ახლა ანკარისის ხანა დადგა, მარქისტებმა ფესვი გაიდგეს, ჩვენ იდილიურ ცხოვრებაში, დასისტები შემოგვეპარნენ, ესენი მარტო თავის ჯიბეზე ფიქრობენ, კუჭს აღმერთებენ, არავითარი მალალი მისწრაფება, იღვია არ ამოძრავებთ, და ამ გვარ ხალხში რა უნდა ვაკეთდესო? თითონ ეს ორატორი მესამოცე წლების მოღვაწეა თურმე. აჰა, მოგმართათ ისევ თქვენ, ქუთათურო „შესტიდესიატნიკებო“, ნუ დაუტყვებთ თქვენთან ერთ უღელში ყოფილ მეგობარს! ის სწორეთ თვალ-ნაკრავია! შეალოცვინეთ ვისმე, აიზმა ასხურებინეთ, ვინ იცის იქნებ კიდევ ეშველოს რამე. ვაი თქვენდა თვალთ-მაქცნო ჯადოქრებო!


* *

მარტო ქუთათურები როდია ამ მხრით დასჯილნი, ჩვენ, თფილელებსაც, გვყავს ჭკუა-კოლოფა ციკერონები. აი, თუ გნებავს, მაგალითისათვის ქალაქის სამართველოს წევრი ბაბოევი ავიღოთ. ერთი მათგანი საყასბოს მუშების კვირაობით გათავისუფლებას წინააღუდგა იმ მოსაზრებით, რომ მაგის შედეგი ხორცის გაძვირება იქნებოდა და ეს კო, დაუმატა მეორე მოგვარემ — მეტ ბარგათ დააწევა მოქალაქის ჯიბესაო. ნამდვილი ბურჟუაზიული მოსაზრებაა!


ერთის სამუშაო კვირა, თუ მოხერხდა რვა დღეთ ვაქციოთ იმიტომ, რომ მეორეს. ე. ი. ბ. ბ. ბაბოევს ჯიბის ბარაქა არ ვაუწყალდეს! უნდა ერთი ეს ვაჭბატონები ჩაყენოთ მუშების ალაგას, მაშინ ენახავდით რა ხმაზედაც მოჰყვებოდნენ წუწუნს.

* *


აბა ჩვენი დრამატიული საზოგადოების გამგის სარევიზო კომისია კი არ გამოიჩინდა ამგვარ სას-



ტრანსკავალის პრეზიდენტი კრიუგერი და მისი მეუღლე.



ბურეპის პანაკი დარკონის მთებში.



ტიკობას. ის, სრული დარწმუნებული ვარ, კვირას კი არა, ორშაბათსაც კი გაათავისუფლებდა მუშებს. არც თითონ რწუნებს მუშაობით თავს და არც სხვას ატანს ძალას, არც დრამატიულ საზოგადოების გამგეობა შეუწყუბნებიათ და არც თავისი პერსონა არც რაიმე განაჩენი დაუდგენიათ, არც არაერთი წერილობითი მოხსენება კრებისათვის არ წარმოუდგენიათ; და ჰოი საკვირველებავ! კრებამ ისეც ისინი *) აირჩია წევრებათ! ქვეშაობით მრავალ წამებულ იობზე მეტი მოთმინება გვაქვს.

* *

და რა ექნათ რომ დრამატიულ საზოგადოების წევრნი ყველაფერს ეთმენენ, მაგიერში ბაქოელი კაპიტალისტი იმასაც კი არ ითმენს, რის მოუთმენლობა ყოვლად შეუძლებელია. იმან ვერ მოინელა მაგალითათ, იმ მუშის თავებდობა, რომელმაც ანგარიში წარუდგინა და თავის ნაოფლარი თხოვა. მსუქანმა ბურჟუამ ანგარიში თავზე გადაახია მუშას და დაცინვით თითით სასამართლოსკენ უჩვენა — მიჩილევო. ტყუილათ კი არ ამბობს ერთი ეკონომისტი. „კაპიტალისტი, როგორც კაპიტალისტი, წარმოადგენს მხოლოდ განხორციელებულ კაპიტალს, მისი სული კაპიტალური სულია“, და აბა რაღა ადგილი აქვს აქ კაცთ მოყვარეობას, ჰუმანიურ გრძნობას?!

გ — ო.

ს ა ზ დ ვ ა რ - გ ა რ ე თ

უმსტრო მენზრია. საცოდავი ავსტრია! არ იქნა, ვერ დამყარდა მასში მშვიდობიანობა. იქ ყველა თავისკენ იწევს, ნემეცი, პოლონელი, ჩეხელი, იტალიელი; ყველას ბატონა და სურს, უფლებების გაფართოებას ესწრაფის. მარტო ჩემი ენა უნდა მეფობდესო, — ამბობს ნემეცი, — არა, ჩემ ენაზე უნდა წარმოებდეს ყველაფერი, — ამბობს ჩეხელი, — და აქვთ ერთი აურ-ზაური. დღეს ეს ენათა კითხვა საშინელ გამწვავებამდე მივიდა. საქმე აი რაშია: ამ ორი წლის წინეთ ჩეხური ენა მიღებულ იქნა ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ჩეხია და მორაეისა; დღეს კი ახალმა კაბინეტმა მინისტრ-პრეზიდენტის კლარის მეთაურობით გააუქმა ეს სიმპატიური დადგენილება. რაღა თქმა უნდა ჩეხელები მთელი თავისი ძალ-ღონით წინა-აღუდგენ ამ გვარ ბოროტ-მოქმედებას. ეს წარმოუდგენელი ბარბაროსობაა, — ყვირიან ჩეხელები, ჩვენ უნდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვებრ-

ძოლოთ ამ განკარგულებასაო. მიუხედავთ იმისა, რომ მთავრობამ ახა თუ მთელი პოლიცია ფიხზე დააყენა, არამედ ჯარიც კი მოიშველა, ჩეხელები უშიშრათ განაგრძობენ დემონსტრაციებს. მაგალითათ, 7 (14) ოქტომბერს პრაგაში მოახდინეს დიდი დემონსტრაცია: საღამოს 7 საათზე პრაგის მოედანზე შეიკრიბა 1000 კაცი, და როცა ცხენ-ოხანმა ჯარმა თხოვა მათ დაშლილიყვენ, გაისმა ნაციონალური სიმღერა ჩეხელებისა და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთ ქუჩიდან მეორე ქუჩაზე გადადიოდნენ. ამ გვარივე დემონსტრაციები მოხდა რიხნოვში, ლოუნში და სხვაგან. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენ ქალები და ბავშვებიც კი.

საერთო უბედურებამ აიძულა ძველ ჩეხელებთა პარტია შერიგებოდა ახალ ჩეხელებს, რათა საერთო ძალით შეტაკებოდნენ მომავალ ბრძოლაში ნემეცებთა პარტიას და მთავრობას. წარსულ კვირაში, პრაგაში ძველ ჩეხელებთა კრება მოხდა მოხუცი ფრანც რიგერის თავმჯდომარეობით. რიგერმა უსაყვედურა იმ ნაწილს ძველ ჩეხელებისას, რომელიც ისწრაფს შინაურ არეულობას ახალ-ჩეხელებთან; ახალ ჩეხელების დამარცხება, — თქვა, სხვათა შორის, რიგერმა, — იგივე მთელი ჩეხელთა ერის დამარცხებაა; საერთო უბედურებამ მტკიცეთ უნდა შეგვაერთოს, რომ შეერთებული ძალით წინააღმდეგეთ ბოროტებასო, დაამთავრა თავისი სატყუა 81 წლის მოხუცმა.

სმარბია. 25 (15) ენკენისთვის დასრულდა ბელგრაღში გამოძიება კნევევიჩის შესახებ, რომელსაც ექს კოროლის (კოროლათ ყოფილ) მილანის მოკელის განზრახვა ბრალდებოდა. როგორც მკითხველებმა უწყიან, 24 ივნისს ამა წლისას კნევევიჩმა რევოლუციური ესროლა მთავარ სარდალს სერბიის ჯარისას მილანს. კნევევიჩთან ერთათ მილანმა დააპატიმრებია რადიკალთა პარტიის ყველა უმთავრესი მოღვაწენი. ენა ვერ გამოთქვამს, თუ რა ტანჯვა-წვალება მიაყენა გაბრაზებულმა მილანმა ამ სამი თვის განმავლობაში თავის პატიმარს — და არც ცასაკვირველია ეს: მილანმა მიზეზი იშოვა დიდი ხნის დაგუბებული ჯავრი რადიკალებზე, სამკვიგროს გადახდისა, დღეს მოეყენა სისრულეში. ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი ის არის, რომ არც ერთ რადიკალს კნევევიჩის განზრახვაში წილი არ უდევს. სამსჯავროში პროცესის დროს არც ერთ ექილს ბრალდებულთა ნება არ მისცეს მოწმეების კითხვისა, რათა დაემტკიცებიათ თავიანთ კლიენტთა უდანაშაულობა. ამ გვარმა ძალ მომრეობით მსაჯულებმა 10 კაცს 20 წლის ციხე მიუსაჯეს, 8-ს, და იმათ შორის მინისტრ პრეზიდენტთ ყოფილს პაშიჩს, ხელ-ხუთი წლის ციხე, ყოფილ მინისტრს ტაუმანო-

*) კრასის გასდა, რომელიც კრებას არ დასწრება.

ეიხს 9 წლის ცახე; თითონ კნეჭევიჩის კი სიკვდილით დასჯა გაღუწევიტეს. თუმცა სერბიის კანონთა დე ბულები ძალით სიკვდილით მხოლოდ მას სჯიან, ვინც მმართველ კოროლის სიკვდილს განიზ რახავს, და მიღანმა კი კარგა ხანია რაც უარი განაცხადა კოროლობაზე, მმართველობა თავის შვილს, ალექსანდრეს, გადასცა და თითონ დღეს მხოლოდ უბრალო გენერალისიმუსა, მაგრამ ძალ-მომრეობა არაფერს დაგიდევს, ის გაუქმებულ კანონს ძალაში შეიყვანს და უკანონობას დაკანონებს.

საშრანხმითი. შეთქმულობის საქმის გამოძიება, როგორც „კვალის“ წინა ნომერში ეწერდით, დასრულდა. ვერ გაუმართლდათ იმედი ნაციონალისტებს და მათთან სხვა რევრესიულ პარტიებს; ძნელი ყოფილა რესპუბლიკას დარღვევა! ის მჭიდრო საძირკველზე მდგარა; მაგრამ ჰქონია ხალხის გულში ფესვები გადგმული. ძალიან ძვირათ უზეს ხალხს პარლამენტალური რესპუბლიკის მოპოვება! ვინ იცის რამდენი სისხლი დაიღვარა, რამდენი ძალა და ენერგია დაიკარგა! რამდენი დიდი მსხვერპლი შეეწირა ამ რეჟიმის დამკარებას და დღეს ვიღაც ორიოდ მეტიჩაა მანარქიის აღდგენას ცდილობს, ხალხს უკან ეწვევა, ისტორიის ჩარხის უკუღმა გადატრიალებას ლამობს, სურს ერთი ხელია მოსმით გააქარწყლოს, აღგავოს ის, რაც ხალხს ამდენ სისხლათ, ცრემლათ და ტანჯვა-ვაებათ უზის. ანტისემიტი გერენი, რომელიც თავისი რამდენიმე ამანაგით შაბროლის ქუჩაზე ერთ სახლში იყო გამაგრებული და გვარწმუნებდა ცოცხალი არაფის დაწებდებო, სრულიად ჯანსაღი ციხეში ბრძანდება. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ბევრი ძალიან გველენიანი პირი ყოფილა გაბმული ამ სასაცლო საქმეში. ათას გვარ წერილების, ფოტოგრაფიული სურათების, ტელეგრაფების და სხვათა გამოძიებამ აღმოაჩინა აგრეთვე ორი კალმით ნახატი სურათი. პირველი სურათი წარმოადგენს შევნიერ ცხენზე მჯდომარე გერცოგს ორლენისას, რომელიც ელისეუს მინდერებიდან პარიზში შემოდის, და ხალხი აღფრთოვანებული სიხარულით ეკვება, მეორე წარმოადგენს, იმავე გერცოგს, ხოლო ის უკვე შესულა პარიზში და იქიდან ურიებს ერეკება. ეს უკანასკნელი ანტისემიტთა ფანტაზიას შეუქმნია.

მიტომაც სუსხმა ეკადმა
გული დაქარა, დაქარა;
გულმან უზომოთ ნაკადი
ნაკადს სისხლის დაღვარა.

სისხლი დაქონთა სამსხვერპლას,
ანთო, როგორც სანთელი,
სული განათლდა, გაბწყინდა,
ვით ზეცაჲ ნათელი;

და აწ მას ვეღარ გაქრობს
ამ ქვეყნიურ გრიგალსა...
რაც ერთხელ გულში აინთო,
საუყუნოა ის ალაი..

გ. ბოკრისი.

გ ა კ გ რ ი თ.

ქამდის თუ ანდერძის წერა მოუნდებოდა იმას, ვინც რკინის ვზის მატარებლით სადმე მიღოდა ახლა ალაპიკ უნდა შეუკვეთოს. არ გავა დღე, რომ „ფათერაკი“ არ შეემთხვეს კაცს. მაგრამ მე მანაც ვეღარ ვაფხერდი ამ დალოცვილ ქალაქში, ვმომობდი ჩვენი საზოგადო ძილი—სალათას ძილათ არ ვადამექცეს და მოვიწოდებ ორი დღით გასვირნება. სად წავიდოდი თუ არ ქუთათურებთან. იქ სიცოცხლე დულს და ვადმოდის, აქ კი ნურა მტერმა ნუ ნახოს ჩვენი ამბავი: ორი კაცი ერთათ ვერ იმუშავენ, მაშინვე ორი საქმე დაიბადება და ვერც ერთს ვერ ვავიტანთ. მიძინებულთა სახალხო წიგნების გამოცემა მიძინებულთა ირაკლის ფონდი, სიცოცხლე მოკლებულთა ჩვენი ჟურნალები, ვახეთებიც თითქმის იმეტომ გამოდის, რომ აცნობოს ყველას ჩვენი სულის ღაფვა.)

როდესაც კაცი ასეთ პესიმისტათ განდება, მაშინ სულ ერთია მატარებელი დალუპავს მას, თუ თითონ დაილუპება. ამ შავი ფიქრებთ ჩაფხექ მატარებელში, რომელიც ლამით მადიოდა და ვავემგზავრე მაგრამ ჩემი ბედი იყო, რომ უბედურება შეემთხვა იმ მატარებელს, რომელიც მეორე დილას გამოვიდა და მე კი უწინებლათ ვათენებისას ამოვყავ თავი ქუთაისში. კაკისპირულათ წვიმა, ქუჩებში ტბები იდგა, თითქო ქუთაისი არ აპირებდა გამოღვიძებას. ბუნება ამ ქალაქს გაზაფხულზე ისე ამკობს, რომ ვერ ვაბედავ მასზე ძვირის თქმას. ახლა კი მე იქაც ცუდს ვხედავდი, სადაც უფრო მიეტყვებოდა... ქუთაისი რომ ამოწუმპლული ენახე თავში ხელები შემოვიკარი, ბუღეარს, სიცოცხლით სავსე ბუღეარს, რომ ვერა ენახე რა მეშველება მეთქი, ნაღვლიანათ საბანი წაიხურე და კარგა გამოვიძინე. შუადღისას ვაშალი უშველებელი ქოლგა და მანაც ბუღეარისკენ ვავწიე.

— რა ამბავი, მითხარ, ვაიგონებდი რასმე, —

*) ძალიან ცდება ამ ფელეტონის ავტორი, დიდებული ქარწილები და მკვლასუბი თითქმის ყოველ დღე იმართებს, ყოველ წამს ვამახანან მრავალ ყამიკრ საქართველოს გაუმარჯოსო. ასოთ-ამწყობის შენიშვნა.



უღდიდთან ვარ გუღდიდი,
გულმა ტანსთან შატარა;
ბუნებამ ასე გამკვდა —
— მხოლოდ ამ გზაზე მატარა.

თუმც მრავალია სხვა გზები,
მაგრამ არ ვადმეხვევა
და ძლიერების წინაშე
გული არ გამიქეცია!..

მომესმა ერთი რომ მეორეს ეკითხებოდა. ყურები ვაცქვიტე.

— გლახა ამბავი, არც ტირილი და არც მუღარება შევლის, გზავნიან, გზავნიან!

— ინახულა? საბუთები იპოვეს?

— არც ინახულა? არც საბუთები უპოვნიათ? რა საჭიროა, შენი არ მიკვირს, გადაწყვეტილია, გზავნიან!

სიხარულით სალამი მისცეს ერთმანეთს და განზორდენ. მე მივხედი რაზედაც იყო ლაპარაკი და უნებურათ მომაგონდა, როგორ უხაროდათ ისევე ამავე პირებს ამ ერთი წლის წინეთ, როდესაც უმიზეზოთ გადააკარგინეს ერთი ახალგაზდა კაცი. ამ საქმეშიაც დიდი პროგრესი ეტყობა ჩვენ საზოგადოებას. მაგალითათ ჩვენში ამ შეიდი წლის წინეთ თითონ ჩვენ გვინდოდა ერთად და მანვე წყევნი „სამშობლოს გამცემნი“ ჯერს გვეცვა, მაგრამ თვით მსაჯულობა უსამართლო გამოდგა და კომიკური ხასიათი მიიღო.

ახლა ქუთათურებს ნამდვილი გზა ამოურჩევიათ. შეველ სასტუმროში პურის საქმელათ. იქაც ერთი და იგივე ლაპარაკი, დემონური სიხარული, თავისი საქციელის გაუგებლობა და ყარაულის ძახილი. გამოვედი იქიდან და დავიწყე ბულვარზე ხეტიალი, ბოლოს დავინახე ერთი ჩემი ნაცნობის სახლი გაჩაღებული. ავიღე თავი და შევედი, დიდ ძალ ქალდა კაცს მოეყარათ თავი. გაცხარებული ბაასი ჰქონდათ. ჩვენში მტერ-მოყვარე რომ სულ ერთათ შეიყაროს ამის მენსუთელიც არ ექნებოთ. საგანი ბაასისა ძალიან საყურადღებო: იყო ძველი, მიძინებული წიგნების გამომცემელი საზოგადოება აღვადგინოთ, თუ ახალი დავაარსოთ, რადგან მასალა გვაქვს დასაბეჭდიო. -- ერთი საყმაწვილო წიგნი. ლაპარაკობდენ ბევრს, ქალებიც, კაცებიც და უმეტესობამ დაადგინა: მომაკვდავ საზოგადოებას დავეხმაროთ, იმას მივეშველოთო, თორემ რამდენი კაციც ვართ, იმდენი საზოგადოების დაარსება ხეირიანათ არ წაიყვანს ჩვენ საქმესო. როდესაც ეს კითხვა გადაწყდა მაშინ ნახეს, რომ ხელში შერჩათ დაუბეჭდელი საყმაწვილო წიგნი... უნდოდათ ხელ მეორეთ დეშალათ თავიანთი გადაწყვეტილება, მაგრამ გვიან იყო, პირს დასველება მოუნდათ, სახლშიაც დაბრუნების დრო იყო. „დიდება ღმერთს, რომ ჩვენი საქმიანობის სენი ამათ ჯერ არ შეჰყრიათ-მეთქი! და სწრაფათ გამოვიპარე იქიდან.

ერთი კიდე რომ შემხედეს ამისთანა საზოგადოება ამათ არ დარჩება ჩემი სეირნობა მეთქი — ვიფიქრე. მართლაც ერთ ახალ ცოცხალ საქმეს კიდე წავაწყდი, სახალხო თეატრის მოწყობაზე ლაპარაკობდენ, მათ არა აქეთ სახალხო თეატრისათვის შესაფერი შენობა და იმ შენობაში მართავენ, სადაც მუდამ თეატრი იმართება, რასაკვირველია ესეთ დღეებს, როგორც საჭიროა ვერ უთმობენ არტისტები, შენობაც შესაფერი მოწყობილი არ არის, ადგილები ხარხისთვის ერთი ფასისა და ერთნაირი უნდა იყოს, ამიტომ ამ ახალ საქმეს ნიადაგი არ ექნება, სანამ საკუთრათ ამ მიზნისთვის არ იქნება აკებული სახლი; ბალაგანში


უფრო თანისუფლათ წავა ხალხი, ვიდრე ლოკებით მოწყობილ თეატრში. ძნელი საფიქრებელია, რომ ქალაქს, რაც უნდა ღარიბი იყოს, არ ჰქონდეს სადმე პატარა ცარიელი ადგილი, არც სახალხო თეატრს გამგებლებს უნდა შეეშინდეთ თეატრის აგებისა, თუნდ ქალაქ გარეთ, რადგან ხალხი იქ უფრო თავისუფლათ წავა, ამ დაბალ ხალხს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ, ვიდრე „პრიკასნიკებს“ რადგან ამათ ყოველთვის ექნებათ იმდენი ფული, რომ შეაღწევიან მეტი მისცენ, მოთამაშენი რომ ხელოსნებიდან იყვენ, მაშინ უფრო ადვილათ მოიწყობა წარმოდგენები. ქუთათურები უკან არ ჩამოგვრჩენიან ქართული ენის დავიწყებაში, იშვიათათ თუ გაიგონებს კაცი ახლა აქ ქართულ ლაპარაკს.

მეყო, მეთქი, სეირნობა და გამოვეშურე თვლის-სკენ, წვიმამაც გადილა. მატარებელი ნუ თუ ახლაც მშვიდობით ჩამიყვანს!? ვფიქრობდი და ეჭვით შევეცქეროდი გზას. გადავარდნილი პარაოზი, დამტვრეული ვაგონი ჯერ კიდევ ეყარა გზაზე. მგზავრები ყველა შიშობდა, ყველა წინაღობის უბედურებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც ბევრი ჩემსავით უსაქმურნიც მოდიოდენ. მატარებელი ხშირათ შეგვეანძრევდა, ერთხელ შუა მინდორშიაც გაგვაჩერა და ბოლოს მცხეთას რომ გამოვეცილდით, სწორეთ იმ ვაგონს, რომელშიაც ვიჯექი რესორი გაუტყდა, ლამობდა ჩატეხას, რადგან ცოტა ვაგონები იყო და თითოში 80 კაცს მოეყარა თავი. კინალამ გადმოგვსევს ავქალაში, რადგან სტანციასზე არ მოვპოვობდით არც ერთი ვაგონი. წივილ-კივილს, გონების დაკარგვას და უწყალო შიშს ბოლო არ ჰქონდა. ერთი მამა სამი შეილისა ისე დაიფანტა, რომ თითონ აპირებდა გადახტომას და შეილების მიტოვებას. რის ვაი-ვაგლახით, გოგვით ჩამოვხსნიეთ მშვიდობით.

Z.

ი დ ე ა ლ ი და ც ხ ო ვ რ ე ბ ა .

I.



შლესის ღარიბი ქობის კრები ფართეთ იყო დაფელილი და შიგ ზაფხულის თბილი სიოთავისუფლათ შედიოდა და გამოდიოდა. კუთხეში, ფიცრის ლოგინზე, წითელ საბან ქვეშ, ავთამყოფი ქალის სიცხისაგან აწითლებული, გაწეილ თვა შემოხევეული, თვალებ დახუჭული სახე მოჩნდა; ავთამყოფი მძიმეთ სუნთქავდა და ხან და ხან ხელს გა-

მოაშვერდა ხოლმე. მაშინვე მის გვერდით მჯდომი პატარა, შეიდი წლის ქალიშვილი წყლით საესე ქიქას მიაწოდებდა; ავთომყოფი წამოიწვოდა, რამდენი მე წვეთ წყალს ჩაისხამდა გამშრალ პირში, მკრე ისევ მძიმეთ დაეშვებოდა ლოგინზე და გაყუჩდებოდა.

პატარა ქალი მწუხარებით საესე თვალებს არ აშორებდა ავთომყოფ ღედას, მხოლოდ ხან და ხან მობრუნდებოდა ხოლმე და შეხედავდა ახალგაზდა ქალიშვილს, რომელიც ნამეტანი მალღათ გამოქრალ პატარა ფანჯარასთან იდგა; ორივე ზეე თ აწყული ხელებით ქალიშვილი კედელს მიყრდნობოდა, მათზე მოწყვეტით მიენდო ძირს დახრილი თავი და გაქვავებულსავით უძრავათ გაიყურებოდა ფანჯარაში. ის დაკვირვებით მიჩერებოდა ხან ქოხის წინ გაშლილ პატარა ბოსტანს, ხან მოშრიალე ხეებს, რომლებზედაც ბელურები მოუხვენრათ დახტოდენ, ხან ლურჯ ცას და ზედ მოსრიალე თეთრ ფუნთრღუმა ღრუბლებს, მაგრამ ვერ ხედავდა ვერც ამ ცას, ვერც ამ ბოსტანს, ვერც ხეებს და ვერც ბელურებს; სხვაგან იყო მისი ფიქრები, სკელ სხვაგან იყო სულით და გულით ახლა ეს ქალიშვილი, რომელიც ასე მოწყვეტით მიწდობოდა კედელზე მიყრდნობილ ხელებს და ასე გაქვავებულივით უძრავათ გაიყურებოდა ფანჯარაში...

— ხომ უსათუოთ ღდეს მოვა ღედასთან ექიმი?— ეღარ მოითმინა და სიჩუმე დაარღვია ავთომყოფის გვერდში მჯდომმა პატარა ქალმა.

— უსათუოთ.— ცოტა ხანს იქით, თითქო თავისთვის წაილაპარაკაო, ისე უპასუხა ფანჯარასთან მდგომმა ქალმა.

ჰო, უსათუოთ! ის უსათუოთ ღდეს მოვა! აი, რამდენიმე ხანს იქით, შეიძლება ერთ საათს იქითაც, ირა ნახავს მას, ვაზედაც ფიქრი არ მოშორებია ავერათი წელიწადია. ათი წელიწადი? ნუ თუ მართლა ათი წელიწადია? ნუ თუ გუშინ არ იყო ის ღრო, როცა ირა, სქელ ნაწნაფიანი, დიდთვალეზიანი, სიცოცხლით და ბავშური გატაცებით საესე თუთხმეტთექსმეტი წლის ახალგაზდა ქალი, ჯერ თითქმის ბავში— გომნაზიის მეექვსე კლასში დადიოდა? ახლაც ისევ იქ არის ირა, იქ, თავის პატარა, ღამაზ სასწავლო ოთახში, სადაც თავისი ცხოვრების საუკეთესო ღრო გაუტარებია. ახლაც ცხადათ ხედავს იმ ვიწრო და მოგრძო ოთახს, რომლის ორივე ფანჯარათეთრი არშიების ფარღებით არს მორთული; ორ ფანჯარას შუა ღვას პატარა, კოხტა საწერი სტოლი, რომელთანაც ჯღომა ყველაფერს ურჩენია ირას; სტოლზე წიგნები, რეველები, კაღმები, კარანდაშები, რეზინები, ყველაფერი ვითომ და ერთმანეთში არეულათ, მაგრამ მაინც ღამაზათ არის დაწყობილი;

უმთავრეს ადგილს, მშვენიერი საწერლის გვერდით, დიდ, ძვირფას ჩარჩოში გაკეთებულთა ირას საუკეთესო ამხანაგი, თინას, სურათი; რამდენი საათი გაუტარებია ირას ამ სტოლზე ორივე ხელით დაყრდნობილს, ძვირფას ჩარჩოში გაკეთებულ სურათისთვის თვალზე მიპყრობილს! მაგრამ, როცა ასე გატაცებული ირა ჩარჩოს თვალს არ აშორებდა, მაშინ იმ ჩარჩოდან თინას მხიარული სახე აღარ გადმოიყურებოდა; თინას სურათი მაშინ სტოლზე ეგღო, ჩარჩოდან კი, სხომის დამალული, ახლა გამოჩენილი, ახალი სურათი იყურებოდა; ყმაწვილი კაცის ამაყი და მედიღური პროფილი ღამაზათ იხატებოდა შვე არეზე; გრძელი ხვეული თმა თითქო რაღაც განსხვავებული ღამაზით ეყრებოდა მის მაღალ შუბლს, თვალებში და ნახევრათ ძირს ჩამოწეულ უღვაშებით დაფარულ ტუჩებზე თითქო რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება იკითხებოდა. ამ სახის ყურება ირას არაოდეს არ მოეწყინებოდა; მას იტაცებდა, მას იმონებდა ეს სახე თავისი სიღამაზით კი არა, არა, ღამაზი ხომ ათასი სხვაც იყო, იმ გამომეტყველებით, რომელსაც ირა ამ სახეზე კითხულობდა. არც კი შეიძლება, სხვა ნაირი სახის გამომეტყველება ჰქონოდა იმისთანა მიმართულების კაცს, როგორისაც ბეჭანი იყო, მისი მიმართულება კი... ირამ კარგათ იცოდა მისი მიმართულება, ამისი დეიღაშერლის, ვანოს, წერილები ნათლათ არკვედენ მას! თუ რამე შეედრებოდა იმ აღტაცებას, რომელსაც ირა გრძნობდა, როცა ძვირფას სურათს დაჩერებოდა— ეს ის გატაცება იყო, რომლითაც ის ვანოს წერილებს კითხულობდა, წერილებს, რომლებსი უშველებელი გროვა სტოლის პატარა უჯრაში ჰქონდა ჩაკეტილი. ეს წერილები, თავიდან დაწყებული ბოლომდის, მთლათ ბეჭანის ქებით იყვენ გაესებული; ყოველ გვერდზე ბეჭანის სახელი, სულ ცოტა, ხუთჯელ-ექვსჯელ მაინც იყო მოხსენებული; ახლათ გომნაზიაში კურს დამთავრებულმა ვანომ, ჩაეიდა თუ არა უნივერსიტეტში— მაშინვე იპოვნა თავისი იდეალის განხორციელება საექიმო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტ, ბეჭან მანასიძეში, და მაშინვე გაუზიარა თავის მეგობარ ირას ყოველი თავისი შთაბეჭდილება; რა მღელვარებით კითხულობდა ირა ამ წერილებს, როგორი გაუგებარი აღელვებით ირდგენდა ამ საოცარ ყმაწვილ კაცს, რომელიც ყოველ სტუდენტურ მოძრაობაში ყოველთვის შოთავეთ იყო, რომელიც ყოველთვის ცდილობდა რამე დახმარება აღმოეჩინა ღარბ და უბედურ ამხანაგებისათვის, რომელსაც მიზნათ დაესახა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა, რომელიც სოფელში, გლეხებში ცხოვრებაზე, მათ განათლებაზე, მათ დაწინაურებაზე ჰფიქრობდა,

რომელსაც თაყვანს სცემდა მთელი ამხანაგობა, რომლის მიბაძვას და მიმსგავსებას ყოველი ახლათ ხასულა სტუდენტი ცდილობდა.

„იცი, ბეჟანი არასოდეს ლეიბზე არ დაწვება! — ეწერა ერთ წერალში. — ყოველთვის ძირს დაგებულ ნაბადზე წვეს ხოლმე და ამბობს, თუ გინდა როდისმე ჩვენ ხალხს, ჩვენ ქვეყანას რამე სარგებლობა მოვუტანოთ, ყველაფერს შეჩვეული, ყველაფერს ატანის შემძლებელი უნდა ვიყოთო...“

„რომ იცოდეს, რამდენს შრომობს ბეჟანი — ეწერა მეორეში. — ერთ წამს უსაქმოდ არ გაჩერდება. თუ არ სწავლობს, რასმე თარგმნის, თუ არ თარგმნის — რამე სამეცნიერო წიგნს ჰკითხულობს, საქართველოს ისტორიას იკვლევს, ფრანგული შერისწავლა და ახლა გერმანულს ჰკიდებს ხელს და სხვ. და სხვ.“

„რა კრებაც უნდა გვექონდეს სტუდენტებს — თავმჯდომარეთ ყოველთვის ბეჟანი გვეყავს! — იწერებოდა კიდევ ვანო. — ის არის ყველასი (რასაკვირველია, ჯერ მარტო სტუდენტების) საყვარელი, სათაყვანო და თითო საჩვენებელი კაცი; როცა იტყვიან, ახლანდელი სტუდენტობა დაწერილმანდა, აღარ ვარგაო — ჩვენ მაშინვე ბეჟანზე მიუუთითებთ და უცებ ჩაეჩუმებთ ამის მთქმელსო...“

„ერთი სურათი მაინც გამომიგზავნე მაგ ახალი „რანმეტოვის!“ მაგისი ცხადით ნახვის ბედნიერება ხომ შეიძლება არაოდეს არ მეღირსოს! მასხრობით წერდა ირა ვანოს. — მინდა სურათზე მაინც ენახო, რა სახე აქვს „ყმაწვილი კაცის ქვეყნათ განხორციელებულ იდეალს“.

ჰო, მასხრობით წერდა ამ წერილს ირა, თუმცა გული მოუსვენრათ უძგერდა... თითონაც არ შეეწინა, როდის და როგორ შეპარულიყო მის გულში „ყმაწვილი კაცის ქვეყნათ განხორციელებული იდეალი“, ეს კი ცხადი იყო, რომ ახლა მას იქ მაგრათ მოეკიდა ფეხი და დიდი ადგილიც ეკავა. ბეჟანი! ამ სახელის გაგონება, სულ სხვა ბეჟანზედაც რომ ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი — მაინც გულის ფრალს ჰკერიდა ირას, მაზე ფიქრი რაღაც უზომო ტკბილ ნეტარებას აგრძნობინებდა... თითონაც ვერ შეემჩნია ახალგაზდა ქალს, როდის დაიწყო პირველათ მაზე ოცნება, როდის წარმოიდგინა პირველათ მომავალში თავისი თავი იმის გვერდით, ეს კი იცოდა, რომ თუ როდისმე თავის თავს ბედნიერათ წარმოიდგენდა — ამ ბედნიერებას მისთვის ბეჟანის გვერდში ყოფნა შეადგენდა, თუ როდისმე ცხოვრების იდეალს თვალწინ დაიხატავდა — მაშინვე თვალწინ ორი ყმაწვილი არსება დაეხატებოდა, კაცი, რომელიც შრომობს და იღვწის სხვების საბედნიეროთ

და საკეთილდღეოთ, სხვებისთვის სარგებლობის მიზნით. — და ქალი, რომელიც ყველაფერში მას ხელს უწყობს, მისი მომხმარე, მისი ამხანაგი, მისი მეგობარი და მარჯვენა ხელია... რა ტკბილათ შეულონდებოდა ხოლმე გული ირას, როცა ნელ-ნელა დაკვირვებას დაუწყებდა ხოლმე ამ ბედნიერ ვაჟსა და ქალს... და ქალში თავის თავს იცნობდა, ვაჟს კი იმ ამაყ და მედიდური შეხედულობის კაცს მიამსგავსებდა, რომლის სურათიც, ენოსგან გამოგზავნილი, ახლა ძვირფას ხარხოში გაკეთებული თინას სურათს, ქვეით იმყოფებოდა! რა ბედნიერი და თან რა უბედური წელიწადი იყო ის წელიწადი, რომელსაც სულით და გულით სულ ბეჟანთან ატარებდა ყმაწვილი ქალი! ირას მასხრობაში იმ წელიწადს დიდა ხანია სათაურათ „ბეჟანი“ აქვს, სახელათ „ბეჟანი“ ჰქვია, ბეჟანი, რადვანაც სულ ამ ყმაწვილი კაცის ფიქრში იყო თავიდან ბოლომდე გატარებული... ისე არ დაწვებოდა ირა, რომ მისი სახე თვალ წინ არ წარმოედგინა, ასე არ გაიღვიძებდა, რომ მისი სახელი ტუჩებზე არ კერებოდა, ერთ წამს ისე არ გაატარებდა, რომ ოცნებით მასთან არ ყოფილიყო... მაგრამ, თითქო მას აქეთ გაელილი წლებიც იმას არ ჰგავდენ, თითქო მათთვისაც „ბეჟანი“ არ უნდა დაერქმია ირას სახელათ, თითქო ამ წლებშიაც ერთი დღე მაინც გამოარეულიყოს, რომ ბეჟანზე ერთხელ მაინც არ ეფიქროს ირას! თუქცა... არა, ფიქრი სულ სხვა არის! ირა მაზე კი არ ჰფიქრობდა, ის ისე შეეჩვიოდა, ისე შევისისხლხორცა თავის ოცნებებს, რომ როგორც კი მარტო დარჩებოდა — მაშინვე უცებ მთლათ ერთიანათ ბეჟანთან გადაფრინდებოდა; ის ორათ ცხოვრობდა, ორ არსებათ გაიყო; ერთი ირა გიმნაზიაში დადიოდა, მეორე გიმნაზია გაათავა, დედამასთან სოფელში დასახლდა, იქ დაიწყო ცხოვრება, დაუმეგობრდა გლეხსა ქალებს, ბევრს შეიღებოდა დაუნათლა, ზამთრობით პატარა ბავშვებს ასწავლიდა, ავთამყოფებს წამლებს ურიგებდა, ქალებს ხელსაქმეს ასწავლიდა, კაცებს მარტო ერთი თავისი შეხედვით ცუდი საქციელისთვის არცხვენდა — მეორე კი — მეორე სულ სხვაგან იყო; ის პუდამ თავს დასტრიალებდა, გარს ევლებოდა ყმაწვილ კაცს, რომელსაც შეეძლო ქალაქებში დიდჯამაგირიანი ადგილი ეშოვნა, მაგრამ რომელიც ღარიბ სოფელში ცხოვრობდა და ცდილობდა თავის გარშემო მეტი სინათლე და მეტი ბედნიერება მოეფინა; რომელიც ცხოვრებდა მარტო სხვებისთვის და თავისი თავი კი სულ არ აგონდებოდა; რომლის სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთმანეთს ეთანხმებოდა, რომელსაც მტკიცეთ გაჰყავდა ცხოვრებაში ის აზრები, რომლებსაც სტუდენტობის დროს ჰქადაგებდა. მას აქეთ, რაც ბეჟანმა კურსი

დაამთავრა და სადღაც გაქრა, ირას მახე აღარაფერი გაუგონია, ვანოც აღარაფერს წერდა, რადგანაც მეგობარი არ იყო ბეჟანის და მასთან მიწერ-მოწერა არ ჰქონდა, მაგრამ რაღა საჭირო იყო წერილები? თითქო ირამ უმისოთაც არ იცოდა, რა კაცი იყო ბეჟანი და რა ცხოვრება უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრება!

ბევრს მოწონდა ირა, ბევრი ეტრფოდა მას, კიდევ უფრო ბევრი—მის მდიდარ მზითვეს... ღმერთო! რა სულელები იყვენ ყველა ისინი, ისე უფერულები, ისე უმნიშვნელოები ბეჟანთან შედარებით! როგორ არ იცოდნენ, როგორ ვერ მიმხვდარიყვენ, რომ მათთან ყოფნა, მათთან ლაპარაკი — მხოლოდ „ისე“, დროს გატარება იყო ირისათვის, ნამდვილი კი — ნამდვილი სულ სხვა იყო! როგორ ვერ გაეგოთ, რომ მას, ვისაც ერთხელევე გულში ბეჟანის სურათი ჩასახლდა — აღარ შეეძლო ვისმე სხვისთვის ყურადღება მიექცია, როგორ ვერ დაენახათ, რომ ირა სული და გული სხვითი იყო აესებული! ბეჟან! ბეჟან! რამდენი მწარე ფიქრები გაუქარწყლა მისმა ხსოვნამ, რამდენჯერ გადაარჩინა საბოლოოდ გულისგატეხას მისმა მოგონებამ! რამდენჯერ მზათ იყო ირა ყველაფერზე გული აცრუებინა, როცა ჩაუკვირდებოდა ცხოვრებას და ყველგან მოტყუებას, ლალატს და ერთმანეთის გაუგებრობას ხედავდა, რამდენჯერ უღონოთ ხელებს ძირს დაუშვებდა, როცა ცუდ რასმეს გაიგებდა ისეთ კაცზე, რომელსაც პატივს სცემდა და აფასებდა... ღმერთო! ნუ თუ არაფერი რწმენა, არაფისი პატივისცემა არ უნდა გქონდეს? ნუ თუ ვერაფერს უნდა ენდოო? — მწუხარეთ ეკითხებოდა ის ამ დროს თავის თავს და უნუკვმოთ გადანტერევედა ხოლმე ხელებს... მაგრამ ამ დროს უეცრათ დაეხატებოდა მას თვალწინ ამაყი და მედიდური შეხედულების უმაწილი კაცი, რომლის პეალებში, რომლის მთელ სახეში ისეთი მტკიცე გადაწყვეტილება გამოკრთდა, რომელიც თავგანწირულათ იბრძოდა სხვების და მხოლოდ სხვების სასარგებლოთ — და რაცე აფროთიანეზული ირა გრძნობდა, რომ შეუქლებელია გულის გატეხა, როცა თვალწინ ასეთი მაგალითი გაქვს. — არა, არა! გეყავს ნამდვილი კაცები! არც ისე საძაგელია ცხოვრება! — ბედნიერი ღიმილით წაილაპარაკებდა ირა და წელან ძირს უღონოთ დაშვებული ხელები ისევ მკირე სარგებლობის მოტანას ცდილობდენ, წელან უნუკვმო სახეზე ისევ იმედი, რწმენა და მშვიდობიანობა იხატებოდა.

და აი, ახლა, ათ წელს შექდეკ, ირამ უნდა ნახოს ბეჟანი, უნდა ნახოს პირველათ. პირველათ! რა სასაცულოა! ახლა თითონ ირას უკვირს, ნუ თუ მართლა არც ერთხელ არ უნახავს ბეჟანი, ბეჟანი,

რომლის სახეც დღე და ღამ თვალიწინ უდგას. ბედნიერი მელიც დედაზე, მამაზე, ძმებზე უფრო ახლობელია მისთვის? რა გულის ფანქვალით გაიგო ამას წინეთ ირამ, ვილაც ექიმმა, ბეჟან მანასძემ, ჩვენ კუთხეში სამოსახლო იყიდა და სახლდებო!

ბეჟანი! ბეჟანი აქ იცხოვრებს! — მთელი ერთი კვირა ამ სიტყვებს იმეორებდა ირა, რომ უკეთ შეეგნო მათი მნიშვნელობა და კარგათ დარწმუნებულიყო მათ სინამდვილეში. — ბეჟან! გაუგია, რომ მთელ აქეთ კუთხეში ორი გლახა უერშალის მეტი არაფინ მოიპოვება და გამოაშურა! როგორც ყოველთვის, აქაც სულ სხვები და მარტო სხვები ჰყოლია მხედველობაში!

ირა გრძნობს, რომ ეს სასაძაგლეა, მაგრამ მაინც არ შეუძლია არ დალოცოს ის ბედნიერი შემთხვევა, რომლის გამოც მისი ნათლიდედა სწორეთ ახლა გახდა ასე აფათ; ექ მის მოყვანა, რასაკვირველია, მიუცილებელი საჭირო იყო.. და რომელი ექიმი უნდა მოეყვანათ, თუ არ ბეჟან მანასძე, რომელიც მხოლოდ ოც-და-ათი ვერსტით არის მათზე დაშორებული?

— ექიმი უნდა მოეყვანათ! — აკანკალებული ხმით უთხრა მან დღეს დილას თავის ნათლ-მამას, როცა აფათმყოფი კარგათ დაათვალიერა.

— სადა მაქვს შენი ჭირიმე მისი თავი! — მწუხარეთ ხელი გაიქნია გლახმა.

— რატომ? შენ გგონია, ძალიან ძვირათ დაგიჯდება? — ღიმილით ჰკითხა ირამ. ჯაფრი ნუ გაქვს, ფულს მე გადავიხდი!

ამ სიტყვების გაგონებაზე გლახის სახეზე იმდენი სიყვარული და მადლობა დაიხატა, რომ ირა სირცხვილით უნებლიეთ გაწითლდა... ამ წამს მას ხომ ნათლიდედის მორჩენის სურვილი არ ამოქმედებდა!

— მადლობელი ვართ, შენი ჭირიმე... მაგრამ ძალიან ძვირათ კი დაგიჯდებათ!

— მაინც? — ისევ გაიღიმა ქალმა.

— ქვედა სოფლის გლახი აპბობდა, შვილი მიკვდებოდა, ახალი ექიმის მოყვანა მინდოდა და ასე მითხრა: მაგ სიშორეს, ოც და ათ, ორმოც ვერსტზე ოც და ხუთ მანეთ ნაკლებ ვერ წამოვალ, მთელი დღე, ის კი არა, ორი დღეც შეკარგებო...

— მერე, მიეცა?

— აბა სად ჰქონდა, შენი ჭირიმე! თუმანი შეეძლია, მაგრამ ექიმს ებრძანებინა, მართლა საქმე გაკვირებული კი არა ვარ, სულ კაპიკებისთვის რომ ვიბრძინო იკით-აქეთო; იმდენი შეძლება კი მაქვს, რომ აქ ჩემთვის მოსვენებრთ ვიცხოვრო, უთქვენოთაც კარგათ გაეძღებო. ისევ ღმერთი, მისი მუხლის ჭირიმე, თეარა ჩვენთვის სხვა არაფინ

არის... იმე სალამოს ბავში უეჭიმოთაც უკეთ გამბ-
დარიყო... ირამ უნებლიეთ ვადინარხარა. ბეჭანი - და
ეს სიტყვები! არა, გლენები სწორეთ საშინლები არი-
ან! ამაშიაც კი იხატება ის სიძულელი, რომელსაც
ისინი მასწავლებლების და ექიმებისადმი გრძობენ!
— აჰა, ოც და ხუთი მანეთი... — პატარა პორ-
ტმანიდან ამოიღო მან ღიმილით ფული. — აქედან
იქამდისაც ხომ ოც-და-ათი ვერსტა, მეტი არ ერ-
გება!

და ნათლიმამა წავადა ცხენებით. მალე ბეჭანი
მოვა. და კედელზე მიყრდნობილ ორევე ზევით აწე-
ულ ხელზე თავმოდობილი ახალგაზდა ქალი ისევ
ისე გაქვევებულსავეთ უძრავთ გაჩერებია მალა გა-
მოჭრილ პატარა ფაქარაში; რაც უფრო მიდის დრო,
რაც უფრო ახლოვდება „მისი“ მოსვლის წაში მით
უფრო ფერი ეკარგება მის ყმაწვილურ სახეს, მით
უფრო ბნელდება მისი ღიმი თვალები, უფრო მაკ-
რათ ეჭირება ცივ კიდელს მისი მალა აწეული ხე-
ლები, უფრო დაბლა იხრება უკან გადაგრეხილი სქე-
ლი თმით დამშენებული თავი... ახლა მას აღარც
ფიქრი, აღარც ოცნება აღარ შეუძლია; ახლა მას აღარც
წარსულის სურათები და აღარც მომავალი შეხვედ-
რის წარმოდგენა აღარ აღეგებს... ის გადაქცეულა
მხოლოდ სძენათ და ვაქვევებული, გაშტერებული,
გონება დაკარგული, ის მხოლოდ ერთს გრძობს,
რომ ადგილიდან დაძვრას, გამოფხიზლებას, გაცო-
ცხლებას მხოლოდ მაშინ შეიძლებს, როცა გზაზე
ცხენების ფეხის ხმა მოისმება და ქონის კარებში ის,
ექიმი, ბეჭან მანასიძე, გამოჩნდება...

ელ. წერეთელი.

(დასასრული იქნება).

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა .

„ცხოვრების საკვ“ პიესების კრება მსახიობთა სუ-
რათებით. წიგნი მიწვევს; გამოცემა ი. იმედაშვილისა.
ფასი სამი აბაზი.

გემოზსენებულ წიგნი მოთავსებულია ხუთი პი-
ესა. 1) უნდა გაეყარეთ ვ. აბაშიძისა 2) ადვოკატი
მელაძე ი. მაჩაბლისა. 3) ცოლ — ქმრობის წინაღუდე-
გი დ. აწყურელისა. 4) ადამ და ევა დ. მესხისა და
5) დატრიალდა ჯარა კ. ყიფიანისა. გარდა ამისა წიგ-
ნში მოქცეულია სცენაზე სათქმელი ლექსები და კუ-
რეტები; ხოლო ბოლოში დართული აქვს გამოცე-
მლის წერილი: თეატრი და ქართული სცენის მსა-
ხიობ მოღვაწენი. „ცხოვრების საკვ“ დაბეჭდილია
ქართული სამუდამო სცენის ოცი წლის არსებობის
შანსოვრათ. მაგრამ წინასიტყვაობაში ბ. იმედაშვილი
გუბირდება, რომ განვიზრახეთ დრო გამოშვებით გა-
მოვეცეთ ასეთი კრებული პიესებისა, რომელიც სცე-
ნის მოყვარეთ ხელს შეუწყობს წარმოდგენების მარ-
თაშიო ..

ამ თავითვე დავრწმუნებთ ბ. გამომცემელს,
რომ, თუ ასე ყოველთვის წინა და უკანა სიტყვაობით
გამოსცა განზრახული წიგნები, სურათები ჩაურთო

და ზედაც სამი აბაზი ფასი დაწერა - არამც თუ იმედაშვილი
ფერს ვერ მოიგებს, არამედ იზარალებს კიდევაც და
აი რათ: ასე თუ ისე წიგნები ისევ დიდ ქალაქებში
საღდება. აქ კი ყველას უნახავს სცენაზე ის და იმათი
მსკესი სხვა ვოდვეილ კომედიები, თუ არ უნახავს —
წავა და ნახავს. მით უფრო რომ თათქის მუქრათ
იმართება ხალხისათვის წარმოდგენები!.. მაშასადამე
ამ წიგნს აქ ბაზარი არა აქვს და არც ექნება. ეს
ყველამ ვიცით, რომ საქართველოს სოფლებში სავ-
რთოთ ძალიან. ცოტა წიგნები იყიდება და მომატე-
ბულათ ასეთი წიგნები. მაშასადამე დაჩენ ერთი
პროვინციელი სცენ ს მოყვარენი, რომელიც საქარ-
თველოს აქა იქა კუთხეებში დრო გამოშვებით წარ-
მოდგენებს მართავენ. მაგრამ იმათ რა მოღვენა-
გნები უნდა დაქირდეთ, რომ გამოცემის ფასი და-
ფარონ?!

ამიტომ ბ. იმედაშვილმა, თითონაც რომ აი-
ღვილოს საქმე და სცენის მოყვარეთაც უფრო იაფ-
დაეხმაროს, — პატარ პატარა ბროშურებთ უნდა გა-
მოსცეს, მხოლოდ საუკეთესო პიესები, თუნდა ისე
როგორც ვ. აბაშიძის „პანთეონია“, ხოლო თეატრის
ისტორიასა და არტისტებ-დრამატურლებ-ს ბიოგრაფიას
თავი მიანებოს ..

ან რა საჭიროა ათასჯერ ქება. ერთისა ზ იმედაშვილის
გამეორება... არტისტების და სხვა „მოღვაწეების სუ-
რათები და ბიოგრაფია, სხვა რომ არა იყოს რა, გუ-
ნიას კალენდრების წყალობით მთელმა საქართველომ
ზეპირათ იცის... თუ ბ. იმედაშვილი მოინდომებს
არტისტ-დრამატურლების მოღვაწეობის კრიტიკულათ
განხილვას — ეგ სულ სხვა საქმეა, მაგრამ ეგონებ რომ
გაუძნელდება, რაც პირველი წერილით კიდევაც დაა-
მტკიცა: ვ. ალექსი მესხიშვილის გვერდით მოუსხა,
(ალბათ მხრის დასამშვენებლათ) ა. ადამიძე კ. მარ-
ჯანოვი, ზ. მაჩაბელი და სხვა, ხოლო ა. ცაგარელი
ჩაჩხირა საღდაც და თან ფრჩხილებში მიუწერა: აეტო-
რია რამდენიმე ჩინებული პიესისაო...

ასე რომ ჩვენ უფრჩხვთ ბ. იმედაშვილის გამოცე-
მის პოანი შეცვალოს: პატარ პატარა წიგნაკებათ
ბეჭდოს საუკეთესო (მარტო ვასაცინი კი არა, აზრი-
ანიც) ორიგინალური და ნათარგმნი პიესები იაფ ფა-
სათ. ხოლო თუ არტისტებისა და სხვა თეატრის მო-
ღვაწეთ ბიოგრაფიის წერაც უნდა გულით — ის ცა-
ლკე წიგნათ დაბეჭდოს და მსურველი პირდაპირ იმ
წიგნს შეიძენს.

ბ. იმედაშვილს პირველი წიგნისათვის კარგი
სასაჯლო კომედია-ვოდვეილები ამოურჩევია, რაც
მეტათ საინტერესოთ ხდის ამ წიგნს პროვინციელ
სცენის მოყვარეთათვის.

მიწვა — ხანია.

შინაარსი: დიმიტრი ყიფიანს, ლექსი დუბუ-მეგრე-
ლისა. — ოცნება და სინამდვილე ალ. წულუკიძისა. — სხვა და-
სხვა ამბები. — „გვალის“ კორესპონდენციები. — გვირიდან გვი-
რამდე გ — ო — სი. — საზღვარ გარეთ. — „*“ ლექსი გ. ბოკე-
რისა. — გავგრით Z — ს. — იქვალის და ცხოვრება (მოთხრობა)
ელ. წერეთლისა. — ბ. ბლიოგრაფია მიწვა — ხანისა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა.